


შპს "მერო მოტორსი"

# ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის



23

## შინაარსი:

### ფინანსური ინფორმაცია

|                                                     |   |
|-----------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                  | 3 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება          | 5 |

### ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

|                                                         |    |
|---------------------------------------------------------|----|
| ზოგადი ინფორმაცია                                       | 6  |
| ანგარიშგების მომზადების საფუძვლები                      | 6  |
| ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა                            |    |
| მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები | 11 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „მერო მოტორსი“,  
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

|                                            | შენიშვნა | 2023                | 2022                |
|--------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                     |                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                     |                     |
| ძირითადი საშუალებები                       | 4        | 518 312.00          | 309 073.00          |
| არამატერიალური აქტივები                    | 5        |                     |                     |
| საინვესტიციო კონება                        | 10       | -                   | -                   |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>518 312.00</b>   | <b>309 073.00</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                     |                     |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 208 055.00          | 577 964.00          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7        | 49 351.00           | 70 610.00           |
| მარაგები                                   | 8        | 2 242 578.00        | 2 010 165.00        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |          | 32 292.00           | 35 119.00           |
| გაცემული სესხები                           |          | -                   | -                   |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>2 532 913.00</b> | <b>2 693 858.00</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>3 051 225.00</b> | <b>3 002 931.00</b> |
| <b>მთლიან იკაპიტალი</b>                    |          |                     |                     |
| საწესდებოკაპიტალი                          |          | 1 381 445.00        | 1 299 446.00        |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |          | 1 549 038.00        | 1 309 515.00        |
| გადაფასები რეზერვი                         |          |                     |                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>2 930 483.00</b> | <b>2 608 961.00</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |          |                     |                     |
| გრძელვადიანი სესხები                       | 11       |                     |                     |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>-</b>            | <b>-</b>            |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |          |                     |                     |
| მოკლევადიანი სესხები                       | 11       |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9        | 102 167.00          | 393 970.00          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          | 18 575.00           | -                   |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>120 742.00</b>   | <b>393 970.00</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |          | <b>120 742.00</b>   | <b>393 970.00</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>3 051 225.00</b> | <b>3 002 931.00</b> |

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი :

*[Handwritten signature]*

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

|                                      | შენიშვნა  | 2023           | 2022           |
|--------------------------------------|-----------|----------------|----------------|
| ამონაგები                            | <u>12</u> | 2 401 820      | 2 369 523      |
| თვითღირებულება                       | <u>13</u> | (1 841 579)    | (1 642 179)    |
| <b>საერთო მოგება</b>                 |           | <b>560 241</b> | <b>727 344</b> |
| სხვა შემოსავლები                     |           | 40 110         | 118 810        |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი      | <u>16</u> | (276 340)      | (445 721)      |
| მიწოდების და მარკეტინგი სდანახარჯები | <u>14</u> | -              | -              |
| სხვა ხარჯები                         | <u>15</u> | (4 137)        | (3 863)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             |           | <b>319 874</b> | <b>396 570</b> |
| ფინანსური შემოსავალი                 |           | 58 802         | 19 308         |
| ფინანსური ხარჯი                      | <u>17</u> | -              | -              |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება        |           |                |                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            |           | <b>378 676</b> | <b>415 878</b> |
| მოგების გადასახადი                   | <u>18</u> | (22 291)       | -              |
| <b>წმინდა მოგება</b>                 |           | <b>356 385</b> | <b>415 878</b> |
| სხვა სრული შემოსავალი:               |           |                |                |
| გადაფასების რეზერვი                  |           |                |                |
| მთლიანი სრული შემოსავალი             |           | <b>356 385</b> | <b>415 878</b> |

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

*[Handwritten signature]*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მერო მოტორსი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 07 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 438114906 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი და ასევე საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით. შპს საქონლის რეალიზაციას ახდენს საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. საგარეჯო რუსთაველის ქუჩა, №247

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დურექტორია ხატია რევაზიშვილი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 381 445 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 14 და 12 ადამიანი, შესაბამისად

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები),

მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

#### ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

#### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

## ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

#### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 30 წელი                              |
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი                             |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5 წელი                               |
| ავტომობილები               | 10 წელი                              |

#### არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით

#### დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

### სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

## შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894 | 2.9753 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7020 | 2.8844 |

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ

ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსურიანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

## შენიშვნები

### 4. ძირითადი საშუალებები

| ლარში                         | შენიშვნა - ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | ავეჯიდასხვან ვენტარი | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სატრანსპორტოსაშუალებები | კომპიუტერიული ტექნიკა | მრავალწლიანი ნარგავები | დაუმოწი ტაქსები მოწყობილობები | ჯამი    |
|-------------------------------|-----------------------|---------------------|----------------------|-------------------------------------|-------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------------|---------|
| 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით  | -                     | 123 567             | 110 121              | 218 540                             | 9 500                   | -                     | 493                    | -                             | 462 221 |
| შესყიდვა                      | 0                     | 0                   | 0                    | 345000                              | 0                       | -                     | -                      | -                             | 0       |
| გასვლა                        |                       | 5 918               | 46 615               |                                     |                         |                       | 15092                  |                               | 0       |
| გაუფასურება                   |                       |                     |                      |                                     |                         |                       |                        |                               | 51 533  |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია   |                       |                     |                      |                                     |                         |                       |                        |                               | -       |
| გადაფასები სრუხერვი           |                       |                     |                      |                                     |                         |                       |                        |                               | -       |
| 2023 წლი ს ბოლოს მდგომარეობით | -                     | 123 567             | 104 203              | 172 925                             |                         | 354 500               |                        | 493                           | 755 688 |
| დაგროვილი ცვეთა               |                       |                     |                      |                                     |                         |                       |                        |                               |         |
| 2022 წლი ს ბოლოს მდგომარეობით | -                     | 91 062              | 18 662               | 39 623                              |                         | 3 800                 |                        |                               | 153 147 |
| ცვეთის ხარჯი                  | 2 305                 | 9 349               | 39 623               |                                     | 35 734                  |                       |                        |                               | 87 011  |

გასული აქტივი  
ს დ აგროვილი ცვეთა  
2023 წლის ბოლოს  
მდგომარეობით

|   |        |         |        |        |         |
|---|--------|---------|--------|--------|---------|
|   |        | (2 782) |        |        |         |
| - | 93 367 | 25 229  | 79 246 | 39 534 | 237 376 |

საბალანსოლირებულება

2022 წლის ბოლოს

|   |        |        |         |       |     |         |
|---|--------|--------|---------|-------|-----|---------|
| - | 32 505 | 91 459 | 178 917 | 5 700 | 493 | 309 074 |
|---|--------|--------|---------|-------|-----|---------|

2022 წლის ბოლოს

|   |        |        |        |         |     |         |
|---|--------|--------|--------|---------|-----|---------|
| - | 30 200 | 78 974 | 93 679 | 314 966 | 493 | 518 312 |
|---|--------|--------|--------|---------|-----|---------|

## შენიშვნა 6

### 5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

ფული სალაროში

ფული საბანკო ანგარიშებზე

| 31/12/2023     | 31/12/2022     |
|----------------|----------------|
| 196 608        | 2 588          |
| 11 447         | 575 376        |
| <b>208 055</b> | <b>577 964</b> |

## შენიშვნა 7

### 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

საექვო ვალების ანარიცხები სრუხერვი

სხვ ამოთხოვნები

| 31/12/2023    | 31/12/2022    |
|---------------|---------------|
| 49 351        | 70 610        |
| <b>49 351</b> | <b>70 610</b> |

## შენიშვნა 8

### 7. მარაგები

მარაგები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

მზაპროდუქცია

ნედლეული

დაუმთავრებელი წარმოება

საქონელი

სხვა მარაგები

| 31/12/2023       | 31/12/2022       |
|------------------|------------------|
| 2 242 578        | 2 010 165        |
| <b>2 242 578</b> | <b>2 010 165</b> |

შენიშვნა 9

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                   | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები   | (102 167)  | (393 970)  |
| გადასახელი ხელფასები    |            |            |
| გადასახდელი პროცენტები  |            |            |
| გადასახდელი დივიდენდები |            |            |
| სხვა ვალდებულებები      | -          | -          |
|                         | (102 167)  | (393 970)  |

9. შენიშვნა 10

საინვესტიციო ქონება

2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                               | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|------------------------------------|------------|------------|
| რეალური ღირებულება 1,01,2018       | -          | -          |
| მოგება/(ზარალი)რეალური ღირებულების | -          | -          |
| ცვლილებიდან                        | -          | -          |
| რეალური ღირებულება                 | -          | -          |

შენიშვნა 11

10. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                    | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------|------------|------------|
| საქონლის რეალიზაცია     | 2 401 820  | 2 369 523  |
| სხვა შემოსავალი         | 40 110     | 118 810    |
| მომსახურების რეალიზაცია | 2 441 930  | 2 488 333  |

შენიშვნა 12. თვითღირებულება

| ლარი                          | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------------|------------|------------|
| მზა პროდუქციის თვითღირებულება | -          | -          |
| საქონლის თვითღირებულება       | -          | -          |
| მომსახურების თვითღირებულება   | 1 841 579  | 1 642 179  |

შენიშვნა 13. გაწეული მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები

პირდაპირი მასალები

| ლარი                | 31/12/2023 | 31/12/2022    |
|---------------------|------------|---------------|
| პირდაპირი მასალები  | 1 841 579  | 1 642 179.00- |
| შრომითი ანაზღაურება | -          | -             |
| კომუნალურები        | -          | -             |
| იჯარა               | -          | -             |
| ცვეთა               | -          | -             |
| დამხმარე მასალები   | -          | -             |
| რემონტები           | -          | -             |
| სხვა                | -          | -             |
|                     | 1 841 579  | 1 642 179     |

შენიშვნა 14

| ლარი                                   | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|----------------------------------------|------------|------------|
| დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი | -          | -          |
| მარაგების გაუფასურება                  | -          | -          |
| მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი      | -          | -          |
| ქონების გადასახადი                     | 4 137      | 4 137      |

# 11. შენიშვნა 16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                       | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|----------------------------|------------|------------|
| შრომის ანაზღაურება         | 74 466     | 30 812     |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 87 010     | 69 225     |
| საგადასახადო ხარჯი         | -          | -          |
| საკონსულტაციო ხარჯი        | 8 400      | 8 400      |
| საწვავის ხარჯი             | -          | -          |
| ბანკი ს მომსახურება        | 9 527      | -          |
| საკანცელარიო ხარჯები       | -          | -          |
| იჯარის ხარჯი               | 57 019     | -          |
| მიგლინების ხარჯები         | -          | 0          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 13 384     | -          |
| კომუნიკაციის ხარჯები       | 26 534     | 337 284    |
|                            | 276 340    | 445 721    |

## შენიშვნა 17

### 12. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                    | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------|------------|------------|
| მიმდინარე მოგების ხარჯი | 0          | 0          |

## შენიშვნა 18. მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი

მიმდინარე მოგების ხარჯი

| 31/12/2023 | 31/12/2022 |
|------------|------------|
| - 22 291   | 22 291     |
| -          | -          |
|            |            |
|            |            |

## 13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტორისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

ლარი

გრძელვადიანი  
ვალდებულებები

მოკლევადიანი  
ვალდებულებები

**2023 წლის დასაწყისში**

სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

**2023 წლის ბოლოს**

2023 წლის ბოლოს

ვალდებულებების

ზრდა/შემცირება

|  |            |
|--|------------|
|  | -          |
|  | 393 970.00 |
|  | -          |
|  | -          |
|  | -          |

## ფინანსური აქტივები

| ლარი                                       | გრძელვადიანი აქტივები | მოკლევადიანი აქტივები |
|--------------------------------------------|-----------------------|-----------------------|
| <b>2023 წლის დასაწყისში</b>                |                       |                       |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები |                       | 577 964.00            |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    |                       | 70 610.00             |
| გაცემული სესხები                           |                       | -                     |
| <b>სულ</b>                                 |                       | <b>648574</b>         |
| <b>2023 წლის ბოლოს</b>                     |                       |                       |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები |                       | 257406                |
|                                            |                       | 208 055.00            |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    |                       | 49 351.00             |
| გაცემული სესხები                           |                       | -                     |
| 2023 წლის ბოლოს აქტივების ზრდა/შემცირება   | -                     | 48294                 |

## ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

## საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებზე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

### ფინანსური აქტივები

|                                            | შენიშვნა | ლარი   | დოლარი | ევრო | რუბლი | სულ    |
|--------------------------------------------|----------|--------|--------|------|-------|--------|
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 208055 | -      | -    | -     | 208055 |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    |          | 59351  | -      | -    | -     | 59351  |
| გაცემული სესხები                           |          |        |        |      |       |        |

### სულ ფინანსური აქტივები

257406

257406

## სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში

20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკისში და კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. ჩვენს მიერ არ იქნა გამოანგარიშებული სავალუტო რისკი, ვინაიდან უცხოურ ვალუტაში ოპერაციები არ გვაქვს.

31 დეკემბერი

2023 წელი

|               | აშშ დოლარის გავლენა |                 | ევროს გავლენა   |
|---------------|---------------------|-----------------|-----------------|
|               | ლარი/აშშ დოლარი     | ლარი/აშშ დოლარი | ლარი/აშშ დოლარი |
|               | +20%                | -20%            | +20%            |
| მოგება/ზარალი | 0                   | 0               | 0               |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

---

### 14. პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი არ აქვს სასამართლო დავები .

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

### 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები


2023 წელს დამფუძნებლებმა მიიღო გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის რეინვესტირების შესახებ . მიღებული მოგებით დაასრულოს საქმიანობის გაფართოების მიზნით აშენებული კომერციული დანიშნულების ობიექტი. აღჭურვოს თანამედროვე ტექნიკით და სატრანსპორტო საშუალებით..

შპს "მერო მოტორსი"

# ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის



23

## შინაარსი:

### ფინანსური ინფორმაცია

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----                  | 3 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----          | 5 |

### ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

|                                                              |    |
|--------------------------------------------------------------|----|
| ზოგადი ინფორმაცია -----                                      | 6  |
| ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----                     | 6  |
| ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა                                 |    |
| მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები----- | 11 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „მერო მოტორსი“  
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

|                                            | შენიშვნა           | 2023                | 2022                |
|--------------------------------------------|--------------------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                            |                    |                     |                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |                    |                     |                     |
| ძირითადი საშუალებები                       | <a href="#">4</a>  | 518 312.00          | 309 073.00          |
| არამატერიალური აქტივები                    | <a href="#">5</a>  |                     |                     |
| საინვესტიციო ქონება                        | <a href="#">10</a> | -                   | -                   |
| <b>სულ გრძელვადიან აქტივები</b>            |                    | <b>518 312.00</b>   | <b>309 073.00</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |                    |                     |                     |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | <a href="#">6</a>  | 208 055.00          | 577 964.00          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | <a href="#">7</a>  | 49 351.00           | 70 610.00           |
| მარაგები                                   | <a href="#">8</a>  | 2 242 578.00        | 2 010 165.00        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები            |                    | 32 292.00           | 35 119.00           |
| გაცემული სესხები                           |                    | -                   | -                   |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |                    | <b>2 532 913.00</b> | <b>2 693 858.00</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |                    | <b>3 051 225.00</b> | <b>3 002 931.00</b> |
| <b>მთლიან იკაპიტალი</b>                    |                    |                     |                     |
| საწესდებოკაპიტალი                          |                    | 1 381 445.00        | 1 299 446.00        |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |                    | 1 549 038.00        | 1 309 515.00        |
| გადაფასები რეზერვი                         |                    |                     |                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |                    | <b>2 930 483.00</b> | <b>2 608 961.00</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |                    |                     |                     |
| გრძელვადიანი სესხები                       | <a href="#">11</a> |                     |                     |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |                    | <b>-</b>            | <b>-</b>            |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |                    |                     |                     |
| მოკლევადიანი სესხები                       | <a href="#">11</a> |                     |                     |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | <a href="#">9</a>  | 102 167.00          | 393 970.00          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |                    | 18 575.00           | -                   |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |                    | <b>120 742.00</b>   | <b>393 970.00</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |                    | <b>120 742.00</b>   | <b>393 970.00</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |                    | <b>3 051 225.00</b> | <b>3 002 931.00</b> |

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

|                                      | შენიშვნა           | 2023           | 2022           |
|--------------------------------------|--------------------|----------------|----------------|
| ამონაგები                            | <a href="#">12</a> | 2 401 820      | 2 369 523      |
| თვითღირებულება                       | <a href="#">13</a> | (1 841 579)    | (1 642 179)    |
| <b>საერთო მოგება</b>                 |                    | <b>560 241</b> | <b>727 344</b> |
| სხვა შემოსავლები                     |                    | 40 110         | 118 810        |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი      | <a href="#">16</a> | (276 340)      | (445 721)      |
| მიწოდების და მარკეტინგი სდანახარჯები | <a href="#">14</a> | -              | -              |
| სხვა ხარჯები                         | <a href="#">15</a> | (4 137)        | (3 863)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             |                    | <b>319 874</b> | <b>396 570</b> |
| ფინანსური შემოსავალი                 |                    | 58 802         | 19 308         |
| ფინანსური ხარჯი                      | <a href="#">17</a> | -              | -              |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება        |                    |                |                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            |                    | <b>378 676</b> | <b>415 878</b> |
| მოგების გადასახადი                   | <a href="#">18</a> | (22 291)       | -              |
| <b>წმინდა მოგება</b>                 |                    | <b>356 385</b> | <b>415 878</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი:</b>        |                    |                |                |
| გადაფასების რეზერვი                  |                    |                |                |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>      |                    | <b>356 385</b> | <b>415 878</b> |

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მერო მოტორსი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 07 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 438114906 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი და ასევე საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით. შპს საქონლის რეალიზაციას ახდენს საქართველოს ბაზარზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. საგარეჯო რუსთაველის ქუჩა, №247

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და 1 იანვრისათვის, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დურექტორია ხატია რევაზიშვილი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 381 445 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისათვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 14 და 12 ადამიანი, შესაბამისად

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### ფინანსური ინსტრუმენტები

#### ტერმინების განმარტებები:

**რეალური ღირებულება** არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცავს მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.

**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

**ამორტიზებადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

**ოპერაციის ღირებულება** არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებითი დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები),

მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

**ცვეთადი ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

### **ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

### **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

### **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

### **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

## ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

## ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

## ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

## გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## ძირითადი საშუალებები

### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

#### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 30 წელი                              |
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი                             |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5 წელი                               |
| ავტომობილები               | 10 წელი                              |

#### არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

#### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით

#### დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

## შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894 | 2.9753 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7020 | 2.8844 |

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ

ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსურიანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

## შენიშვნები

### 4. ძირითადი საშუალებები

|                                          | შენო<br>ბა -<br>ნაგებ<br>ობე<br>ბი | მანქანა-<br>დანადგარ<br>ები | ავიჯი<br>დ<br>ასხვან<br>ვენტარ<br>ი | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყ<br>ობა | სატრა<br>ნსპორ<br>ტოსაშ<br>უალე<br>ბები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | მრავა<br>ლწლი<br>ანი<br>ნარგავ<br>ები | დაუმონ<br>ტაჟებ<br>ლი<br>მოწყობ<br>ილებე<br>ბი | ჯამი    |
|------------------------------------------|------------------------------------|-----------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------|---------------------------------------|------------------------------------------------|---------|
| ლარში                                    |                                    |                             |                                     |                                                  |                                         |                         |                                       |                                                |         |
| <b>2022 წლის ბოლოს<br/>მდგომარეობით</b>  | -                                  | 123 567                     | 110 121                             | 218 540                                          | 9 500                                   | -                       | 493                                   | -                                              | 462 221 |
| შესყიდვა                                 |                                    | 0                           | 0                                   | 0                                                | 345000                                  | 0                       |                                       | 15092                                          | 0       |
| გასვლა                                   |                                    |                             | 5 918                               | 46 615                                           |                                         |                         |                                       |                                                | 51 533  |
| გაუფასურება                              |                                    |                             |                                     |                                                  |                                         |                         |                                       |                                                | -       |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია              |                                    |                             |                                     |                                                  |                                         |                         |                                       |                                                | -       |
| გადაფასები სრუხერვი                      |                                    |                             |                                     |                                                  |                                         |                         |                                       |                                                |         |
| <b>2023 წლი ს ბოლოს<br/>მდგომარეობით</b> | -                                  | 123 567                     | 104 203                             | 172 925                                          |                                         | 354 500                 |                                       | 493                                            | 755 688 |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                   |                                    |                             |                                     |                                                  |                                         |                         |                                       |                                                |         |
| <b>2022 წლი ს ბოლოს<br/>მდგომარეობით</b> | -                                  | 91 062                      | 18 662                              | 39 623                                           |                                         | 3 800                   |                                       |                                                | 153 147 |
| ცვეთის ხარჯი                             |                                    | 2 305                       | 9 349                               | 39 623                                           |                                         | 35 734                  |                                       |                                                | 87 011  |

გასული აქტივი  
ს დ აგროვილი ცვეთა  
2023 წლის ბოლოს  
მდგომარეობით

|   |        |         |        |        |  |         |
|---|--------|---------|--------|--------|--|---------|
|   |        | (2 782) |        |        |  |         |
| - | 93 367 | 25 229  | 79 246 | 39 534 |  | 237 376 |

საბალანსო დირექტულები

|                 |   |        |        |         |         |     |         |
|-----------------|---|--------|--------|---------|---------|-----|---------|
| 2022 წლის ბოლოს | - | 32 505 | 91 459 | 178 917 | 5 700   | 493 | 309 074 |
| 2022 წლის ბოლოს | - | 30 200 | 78 974 | 93 679  | 314 966 | 493 | 518 312 |

## შენიშვნა 6

### 5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                    | 31/12/2023     | 31/12/2022     |
|--------------------------|----------------|----------------|
| ფული სალაროში            | 196 608        | 2 588          |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 11 447         | 575 376        |
|                          | <b>208 055</b> | <b>577 964</b> |

## შენიშვნა 7

### 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                              | 31/12/2023    | 31/12/2022    |
|------------------------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები   | 49 351        | 70 610        |
| საექვო ვალების ანარიცხები სრეზერვი |               |               |
| სხვ ამოთხოვნები                    |               |               |
|                                    | <b>49 351</b> | <b>70 610</b> |

## შენიშვნა 8

### 7. მარაგები

მარაგები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                  | 31/12/2023       | 31/12/2022       |
|------------------------|------------------|------------------|
| მზაპროდუქცია           |                  |                  |
| ნედლეული               |                  |                  |
| დაუმთავრებელი წარმოება |                  |                  |
| საქონელი               | 2 242 578        | 2 010 165        |
| სხვა მარაგები          |                  |                  |
|                        | <b>2 242 578</b> | <b>2 010 165</b> |

შენიშვნა 9

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარში                   | 31/12/2023       | 31/12/2022       |
|-------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები   | (102 167)        | (393 970)        |
| გადასახელი ხელფასები    |                  |                  |
| გადასახდელი პროცენტები  |                  |                  |
| გადასახდელი დივიდენდები | -                | -                |
| სხვა ვალდებულებები      |                  |                  |
|                         | <b>(102 167)</b> | <b>(393 970)</b> |

9. შენიშვნა 10

საინვესტიციო ქონება

2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                               | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|------------------------------------|------------|------------|
| რეალური ღირებულება 1,01,2018       | -          | -          |
| მოგება/(ზარალი)რეალური ღირებულების |            |            |
| ცვლილებიდან                        | -          | -          |
| რეალური ღირებულება                 | -          | -          |
|                                    | -          | -          |

შენიშვნა 11

10. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                    | 31/12/2023       | 31/12/2022       |
|-------------------------|------------------|------------------|
| საქონლის რეალიზაცია     | 2 401 820        | 2 369 523        |
| სხვა შემოსავალი         | 40 110           | 118 810          |
| მომსახურების რეალიზაცია |                  |                  |
|                         | <b>2 441 930</b> | <b>2 488 333</b> |

## შენიშვნა 12. თვითღირებულება

| ლარი                          | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------------|------------|------------|
| მზა პროდუქციის თვითღირებულება | -          | -          |
| საქონლის თვითღირებულება       | -          | -          |
| მომსახურების თვითღირებულება   | 1 841 579  | 1 642 179  |

## შენიშვნა 13. გაწეული მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები

პირდაპირი მასალები

| ლარი                | 31/12/2023 | 31/12/2022    |
|---------------------|------------|---------------|
| პირდაპირი მასალები  | 1 841 579  | 1 642 179.00- |
| შრომითი ანაზღაურება | -          | -             |
| კომუნალურები        |            |               |
| იჯარა               |            |               |
| ცვეთა               |            |               |
| დამხმარე მასალები   |            |               |
| რემონტები           |            |               |
| სხვა                |            |               |
|                     | 1 841 579  | 1 642 179     |

## შენიშვნა 14

| ლარი                                   | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|----------------------------------------|------------|------------|
| დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი | -          | -          |
| მარაგების გაუფასურება                  |            |            |
| მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი      |            |            |
|                                        | -          | -          |
| ქონების გადასახადი                     | 4 137      | 4 137      |

## 11. შენიშვნა 16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                       | 31/12/2023     | 31/12/2022     |
|----------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება         | 74 466         | 30 812         |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 87 010         | 69 225         |
| საგადასახადო ხარჯი         | -              | -              |
| საკონსულტაციო ხარჯი        | 8 400          | 8 400          |
| საწვავის ხარჯი             | -              | -              |
| ბანკი ს მომსახურება        | 9 527          | -              |
| საკანცელარიო ხარჯები       | -              | -              |
| იჯარის ხარჯი               | 57 019         | -              |
| მივლინების ხარჯები         |                | 0              |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 13 384         | -              |
| კომუნიკაციის ხარჯები       | 26 534         | 337 284        |
|                            | <b>276 340</b> | <b>445 721</b> |

## შენიშვნა 17

## 12. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2023 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| ლარი                    | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------|------------|------------|
| მიმდინარე მოგების ხარჯი | 0          | 0          |

## შენიშვნა 18. მოგების გადასახადის ხარჯი

| ლარი                    | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|-------------------------|------------|------------|
| მიმდინარე მოგების ხარჯი | - 22 291   | 22 291     |
|                         | -          | -          |
|                         |            |            |
|                         |            |            |

## 13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტორისკი
- ლიკვიდურობისრისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

### ფინანსური ვალდებულებები

| ლარი                             | გრძელვადიანი<br>ვალდებულებები | მოკლევადიანი<br>ვალდებულებები |
|----------------------------------|-------------------------------|-------------------------------|
| <b>2023 წლის დასაწყისში</b>      |                               | -                             |
| სესხები                          |                               |                               |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები    |                               | 393 970.00                    |
| <b>2023 წლის ბოლოს</b>           |                               | -                             |
| <b>2023 წლის ბოლოს</b>           |                               |                               |
| ვალდებულებების<br>ზრდა/შემცირება |                               | -                             |

## ფინანსური აქტივები

ლარი

გრძელვადიანქტივები მოკლევადიანქტივები

### 2023 წლის დასაწყისში

ფული და ფულთან გათანაბრებული

577 964.00

ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი

70 610.00

მოთხოვნები

გაცემული სესხები

-

სულ

648574

### 2023 წლის ბოლოს

257406

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

208 055.00

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

49 351.00

გაცემული სესხები

-

2023 წლის ბოლოს აქტივების ზრდა/შემცირება

-

48294

## ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში.

არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

## საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალეზადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდეს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

| ფინანსური აქტივები                         | შენიშვნა | ლარი          | დოლარი | ევრო | რუბლი | სულ           |
|--------------------------------------------|----------|---------------|--------|------|-------|---------------|
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 208055        | -      | -    | -     | 208055        |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    |          | 59351         |        |      |       | 59351         |
| გაცემული სესხები                           |          |               |        |      |       |               |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>              |          | <b>257406</b> |        |      |       | <b>257406</b> |

## სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში

20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკისში და კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. ჩვენს მიერ არ იქნა გამოანგარიშებული სავალუტო რისკი, ვინაიდან უცხოურ ვალუტაში ოპერაციები არ გვაქვს.

| 31 დეკემბერი<br>2023 წელი | აშშ დოლარის გავლენა         |                          | ევროს გავლენა               |
|---------------------------|-----------------------------|--------------------------|-----------------------------|
|                           | ლარი/აშშ<br>დოლარი<br>+ 20% | ლარი/აშშ<br>დოლარი - 20% | ლარი/აშშ<br>დოლარი<br>+ 20% |
| მოგება/ზარალი             | 0                           | 0                        | 0                           |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძენება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

---

### 14. პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი არ აქვს სასამართლო დავები .

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

### 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წელს დამფუძნებლებმა მიიღო გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის რეინვესტირების შესახებ . მიღებული მოგებით დაასრულოს საქმიანობის გაფართოების მიზნით აშენებული კომერციული დანიშნულების ობიექტი. აღჭურვოს თანამედროვე ტექნიკით და სატრანსპორტო საშუალებით..